



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 3

ქ. გარდაბანი

26/01/2022

3-06-4-202201261804



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ სართიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე, ს/კ №81.12.20.466, განთავსებული შენობა-ნაგებობიდან 82.88 კვ.მ. ფართის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის, მეოთხე, მეექვსე ნაწილებისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 იანვრის N 18-182202197 მომართვის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ სართიჭალაში მდებარე ს/კ №81.12.20.466 მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან 82.88 კვ.მ. ფართი (ს/კ №81.12.20.466.01.500) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მისი არსებობის ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე